ავერსი-ფარმას ტერიტორიაზე, ყაზბეგის გამზ. №16-ში, ფიზიკური პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესი:

1. 2013 წლის 1 ივლისიდან აკრძალულია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქალაქეებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესვლა, გარდა წინამდებარე წესით დადგენილი შემთხვევებისა.
2. 2013 წლის 1 ივლისიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქალაქეებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგი წესების ზუსტი დაცვით.
3. ***<u>სატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესები:</u>***

   დაიშვება შემდეგი სატრანსპორტო საშუალებები
   - ავტომანქანები ავერსი-ფარმას მიერ გაცემული სპეციალური საშვით;
   - სასწრაფო დახმარების, საპატრულო, სახანძრო, დაცვის სამსახურების მანქანები;
   - საბადრაგო, ინკასაციის სამსახურის მანქანები;
   - პაციენტის ავტომანქანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს არ შეუძლია ფეხით გადაადგილება;
   - ავარიული ბრიგადები;
   - სამეურნეო დანიშნულების ავტომანქანა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დაწესებულების პასუხისმგებელმა პირმა წინასწარ ელ. ფოსტით შეატყობინა ადმინისტრატორს ამ ავტომანქანის ნომერი, ასევე ტერიტორიაზე შემოსვლისა და გასვლის დრო. სამეურნეო ავტომანქანების დაშვება ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ ელ.ფოსტით გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, წინასწარ ელ.ფოსტით შეტყობინების გარეშე ავტომანქანა ტერიტორიაზე არ დაიშვება.
4. ***<u>ფიზიკური პირების დაშვების წესები:</u>***

   ფიზიკური პირები დაიშვებიან შემდეგ შემთხვევებში:
   - პირები ავერსი-ფარმას მიერ გაცემული სპეციალური საშვით და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
   - <u>პაციენტები</u> – დაიშვებიან მხოლოდ ის პაციენტები, რომლების სახელი და გვარი შესაბამის ექიმს ელ. ფოსტით წინასწარ გამოგზავნილი აქვს ადმინისტრატორთან; ხოლო თუ პაციენტი მიდის თვითდინებით და მის შესახებ ექიმი ან შესაბამისი განყოფილება წინასწარ ინფორმირებული არ არის, მაშინ პაციენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად დაასახელებს იმ განყოფილებას და ექიმის გვარს, ვისთანაც მიდის. ადმინისტრატორი ელ.ფოსტით ატყობინებს შესაბამისი განყოფილების პასუხისმგებელ პირს ამ პაციენტის შესახებ და უშვებს ტერიტორიაზე მხოლოდ განყოფილების პასუხისმგებელი პირისგან ელ.ფოსტით მიღებული თანხმობის შემდეგ.
   - <u>მნახველები</u> – მნახველებისთვის ტერიტორიაზე შესვლა დასაშვებია მხოლოდ 10-დან 12 საათამდე და 16-დან 19 საათამდე. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ დაიშვებიან მხოლოდ ის მნახველები, რომელთა სახელი და გვარი ადმინისტრატორთან ელ.ფოსტით გამოგზავნილი აქვს შესაბამის ექიმს; განსაზღვრული დაშვების საათების გარდა, მნახველის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმის მიერ ელ.ფოსტით გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

- <u>სტუმრები</u> – დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია ელ. ფოსტით გაუგზავნოს შეტყობინება ადმინისტრატორს, სადაც მითითებული იქნება სტუმრის გვარი, სახელი, ავტომანქანის ნომერი, ტერიტორიაზე შემოსვლისა და გასვლის დრო.

<u>შესაბამისი ექიმის ან პასუხისმგებელი პირის მიერ ელ.ფოსტით გამოგზავნილი შეტყობინების გარეშე ფიზიკური პირები ტერიტორიაზე არ დაიშვებიან.</u>

5. დაწესებულების ხელმძღვანელი პირი ვალდებულია განსაზღვროს და ადმინისტრატორს ელ. ფოსტით გაუგზავნოს იმ პასუხისმგებელი პირების სია და შესაბამისი ელ.ფოსტის მისამართები, ვინც არის უფლებამოსილი ელ.ფოსტით გაუგზავნოს შეტყობინება ადმინისტრატორს, ასევე ვისაც უნდა გაუგზავნოს შეტყობინება ადმინისტრატორმა.
6. ადმინისტრატორის ელ.ფოსტის მისამართია kadmin@aversi.ge.